

ელექტრონული მასალების გამოყენება სწავლების პროცესში სკოლის დაწყებით საფეხურზე

ნათენაძე მარეხი

პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალციხე, რუსთაველის ქ. N 106

ანოტაცია

ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაციის მუდმივი ცვლა ბუნებრივად იწვევს საზოგადოების განვითარების დონის ცვლილებას. ამ პროცესებში, სწავლების უზრუნველსაყოფად, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია თანამედროვე მასწავლებლის მომზადება. ეფექტური და წარმატებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, რაც უკავშირდება მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას.

საკითხის შესწავლა გვიჩვენებს, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს უჭირთ წაკითხული ტექსტის გააზრება, ძნელდება მათში მათემატიკური უნარების განვითარება. ცალკეული საგნის სტანდარტზე გასასვლელად აუცილებელია მასწავლებელმა მიმართოს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლების გზებს, გამოიყენოს მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, შექმნას საგანმანათლებლო რესურსები, იყოს შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, შეძლოს თითოეულ საგანში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოსწავლეთა კომპეტენციებზე გასვლა.

საკვანძო სიტყვები:

მოსწავლეთა მოტივაცია, საგნობრივი კომპეტენციები, მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტი, მოსწავლის სტანდარტი, მეთოდური რეკომენდაციები.

ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაციის მუდმივი ცვლა ბუნებრივად იწვევს საზოგადოების განვითარების დონის ცვლილებას. ამ პროცესებში სწავლების უზრუნველსაყოფად, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია თანამედროვე მასწავლებლის მომზადება. ეფექტური და წარმატებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, რაც უკავშირდება მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას.

პრობლემა

საკითხის შესწავლა გვიჩვენებს, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უჭირთ წაკითხული ტექსტის გააზრება, ძნელდება მათში მათემატიკური უნარების განვითარება. ცალკეული საგნის სტანდარტზე გასასვლელად აუცილებელია მასწავლებელმა მიმართოს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლების გზებს, გამოიყენოს მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, შექმნას საგანმანათლებლო რესურსები, იყოს შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, შეძლოს თითოეულ საგანში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოსწავლეთა კომპეტენციებზე

გასვლა. ამავე დროს, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, პრაქტიკულმა უნარ-ჩვევებმა ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს. ქართულენოვან სკოლებში ისწავლება საგანი ქართული ენა და ლიტერატურა, არაქართულენოვან სკოლებში კი - მშობლიური ენა და ქართული, როგორც მეორე ენა. ამავე დროს, ენისა და მეტყველების დაუფლება ყველა მოსწავლის სწავლისა და განვითარების საფუძველია. ენის კარგი ცოდნა და მეტყველების კარგი უნარი უნიშვნელოვანესია აკადემიური წარმატებისა და სწავლისათვის. მნიშვნელოვანი უნარია ასევე ტექსტის გააზრებული კითხვა.

ვფიქრობთ, პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეთათვის სასწავლო მასალის მიწოდების ფორმა და აუცილებელია ახალი მიდგომების მოძიება პრობლემის მოსაგვარებლად.

პრობლემის გადაწყვეტის გზა

ამ მიმართულებით, ვფიქრობთ, ეფექტურია მასწავლებლებმა, სხვადასხვა რესურსის გარდა, სასწავლო მასალის შესაბამისად მოამზადონ მრავალფეროვანი ელექტრონული მასალა, შექმნან ელექტრონული წიგნები, რომლებიც სახელმძღვანელოებისგან განსხვავებით, მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, მოგვცემს დიფერენცირებული სწავლების საშუალებას. ელექტრონული წიგნების შექმნის ერთ-ერთი საშუალებაა PowerPoint-ის საპრეზენტაციო პროგრამა. ამ მიმართულებით მასწავლებლებს ვთავაზობთ მეთოდურ მასალას.

PowerPoint პროგრამის ძირითადი ელემენტები პროგრამა Microsoft Word-ის მსგავსია [1]. PowerPoint პროგრამაში შესაძლებელია კინოფაილებისა და ხმოვანი ფაილების შექმნა. თითოეულ სლაიდში, შინაარსის მიხედვით, შეიძლება ტექსტური, ვიდეო, აუდიო, გრაფიკული ფაილების ჩასმა. ეფექტურია პრეზენტაცია, როცა ის მაქსიმალურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობებს და თვალსაჩინოების მდიდარ ნიმუშებს თავაზობს აუდიტორიას. ჩვენს შემთხვევაში, მასწავლებელი მომზადებულ რესურსს მიზნობრივად თავაზობს მოსწავლეებს.

ელექტრონული წიგნების შესაქმნელად საჭიროა სასწავლო მასალის შესაბამისად შეირჩეს ტექსტი, ფონი, პერსონაჟები. PowerPoint-ის პროგრამაში მნიშვნელოვანია სლაიდის ფონის შერჩევა. პროგრამის Background-ქვემნიშვნელოვანი თემის შემთხვევაშიც კი, ფონის შეცვლის საშუალებას იძლევა (Background Styles-დან შევარჩევთ ფონს). მნიშვნელოვანია მასალის ანიმაცია, მით უფრო, დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის, რომელიც ელექტრონულ წიგნს ხდის უფრო სახალისოს. Animation-ბრძანების ქვედილაკებით შესაძლებელია პრეზენტაციის სლაიდების ე.წ. „გადაფურცვლა“ (მომდევნო სლაიდზე გადასვლა), ან სლაიდებზე მოცემული ნებისმიერი ტექსტური თუ გრაფიკული ობიექტის „გაცოცხლება“ (Animation-ბრძანების ქვედილაკებით), ეფექტებისათვის დილაკი Add Effect - იძლევა ობიექტის შემოსვლის, გასვლის, ანიმაციური ეფექტის მინიჭებას. შერჩეული ანიმაციური ეფექტების სლაიდზე შემოწმება შესაძლებელია Play და Slide Show დილაკებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია gif-ფაილებიდან პირდაპირ მოძრავი/ანიმაციური გრაფიკული ობიექტების ჩასმა. რაც შეეხება სასწავლო მასალის შესაბამისად ფონის შერჩევას (ან შექმნას), შესაძლებელია pizap.com - ვებ-გვერდის გამოყენება. აქვე შეიძლება ფოტოკოლაჟის შექმნა (Collages-განყოფილება), ფოტოს დამუშავება (Edit Photo-

განყოფილება), მზა ფონის ჩამოტვირთვა ან საკუთარი ფანტაზიით ახალი ფონის შექმნა (Background-განყოფილება) [2; 3].

Background-განყოფილებაში მოცემულია დახარისხებული მზა ფონები. შესაძლებელია ფონის შერჩევა, ჩამოტვირთვა და ჩამოტვირთული ფონის უცვლელად შენახვა. ამავე განყოფილებაშია დამატებითი ჩანართები, სადაც განთავსებულია სადღესასწაულო თემატიკასთან დაკავშირებული მზა ფონები.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროგრამა შერჩეულ ფონზე ცვლილების შეტანის საშუალებას იძლევა. შესაძლებელია ფონს შეეცვალოს ფერი, დაემატოს სხვადასხვა გრაფიკული ობიექტი. დასრულებულ ფონზე Text-ჩანართიდან შესაძლებელია შესაბამისი ტექსტის განთავსება. ამისათვის შესაძლებელია ჩვეულებრივი შრიფტის ან pizap.com-ის შრიფტის გამოყენება. რადგან ეს უკანასკნელი ქართულ ანბანთან არათავსებადია, ამიტომ pizap.com-ის შრიფტებს, ვფიქრობთ, გამოიყენებენ მათემატიკის და უცხო ენების მასწავლებლები. Text-ის განთავსება PowerPoint-ის პროგრამაში სლაიდებზეც შეიძლება.

დასრულებული გვერდი ინახება სასწავლო მასალის შესაბამისად. მზადდება მომდევნო გვერდებიც. გამზადებული მასალა თავსდება PowerPoint-ის პროგრამაში და ინახება სხვადასხვა ფორმატში. შესაძლებელია ნამუშევრის შენახვა წიგნად (Save As/PowerPoint Show). ამ ფორმატში შენახული მასალა უცვლელია, თუმცა შესაძლებელია შექმნილი წიგნის მომავალში რედაქტირებაც და, ასევე, დასრულებული წიგნის შენახვა PDF ფაილში.

მეთოდური რეკომენდაციები:

- გაკვეთილის თემის შესაბამისად, სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ მოამზადოს ელექტრონული წიგნი, როგორც სასწავლო რესურსი, ძირითადად, მოსწავლეებში აზროვნების ქვედა დონის (ცოდნა, გაგება) გასავითარებლად.
- რეკომენდებულია, მასწავლებელმა პროგრამაში მოამზადოს ელექტრონული წიგნი, შეინახოს მასალა პროგრამის საკუთარ ფორმატში, გამოიყენოს გაკვეთილზე მოსწავლეებში გამოყენებისა და აზროვნების მაღალი დონის (ანალიზი, შეფასება, სინთეზი) გასავითარებლად.

მნიშვნელოვანია, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით სკოლაში ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს - სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს [4, თავი XI]. ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობამაც მოსწავლე უნდა მოამზადოს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, შემეცნებითი და ყოფითი ტექსტების შექმნის, აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს. მათ უნდა ისწავლონ ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა, ტექსტებში მოცემული საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და შეძლონ დამოკიდებულებების (პოზიციისა და შეფასებების) თავისუფლად გამოხატვა.

ვფიქრობთ, ელექტრონული წიგნების გამოყენება აღნიშნული უნარების განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს და მოსწავლეებისათვის სწავლის პროცესი უფრო სახალისო და

მიმზიდველი გახდება. ასეთი გზით მოსწავლეებს გაუადვილებათ წაკითხული ტექსტის გააზრება, განუვითარდებათ უნარები სასწავლო საგნების შესაბამად.

ასევე, შესაძლებელია, მომზადებული ელექტრონული მასალა მასწავლებელმა უმცროსკლასელებთან ფიზიკურ აქტივობების დროს გამოიყენოს. სასურველია ამ სახის ელექტრონული რესურსების შექმნაში მოსწავლეების აქტიური ჩართვა.

შეჯამება

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ეტაპზე სწავლება ახალ მიდგომებს უყენებს დაწყებითი კლასების მასწავლებლებს და, შესაბამისად, ჩნდება ახალი მოთხოვნები დაწყებითი განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის მიმართ. ამავე დროს, მასწავლებლის მომზადების ერთ-ერთ მიმართულებად იყო და კვლავ რჩება ტრენინგები და კონსულტაციები, რომელზეც მასწავლებლებს შეეძლებათ შეიძინონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ვფიქრობთ, აღნიშნული მასალა დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს ეროვნული გეგმის წარმატებით რეალიზებაში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების სკოლების მეორე კლასის მასწავლებლები ისტ-ის სატრენინგო მოდულის გავლის შედეგად ფლობენ შესაბამის საბაზისო უნარებს. მათ გაკვეთილის თემების შესაბამისად შექმნეს მდიდარი ელექტრონული მასალა საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მშობლიური ენა (სომხური, რუსული), მათემატიკა, ბუნებისმეტყველება. რესურსების მომზადების პროცესი მათთვის იყო საინტერესო და სახალისო. მასწავლებლებმა შექმნილი რესურსები წარმატებით გამოიყენეს მოსწავლეებთან.

აღსანიშნავია, რომ შექმნილი ელექტრონული რესურსები მოსწავლეებს დაეხმარა წაკითხული ტექსტის გააზრებაში, მათ ტექსტის ცალკეული ფრაგმენტი სწრაფად გარდაქმნეს აზრობრივ ნახატად, შეძლეს წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის საფუძველზე დამოუკიდებლად შექმნილი ამბის გაგრძელება და ახსნეს, მაგალითად, მოცემული ილუსტრაციის მიხედვით, რატომ შეურჩიეს ნახატს ასეთი სათაური, გამოთქვას ვარაუდი ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ ანალოგიური სახის სამუშაო შეასრულეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (Minor) პროგრამების სტუდენტებმაც სასწავლო პრაქტიკის პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1:1 ელექტრონული სწავლების დანერგვა. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013.
2. www.ict.tpdg.ge
3. www.pizap.com
4. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2011-2016.